საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

ქ.თბილისი „12“ აპრილი “ 2017 წელი

**ბრძანება N 01-19**

**სსიპ „ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ მოქმედი აკადემიურ საბჭოს 2 წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევნების დანიშვნის შესახებ.**

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მე-20 მუხლის, სსიპ „ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“წესდების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის და მე-14 მუხლის, ასევე აკადემიური საბჭოს პირველი სხდომის ოქმის და საარცევნო კომისიის თავმჯდომარის ხათუნა მიქაუტაძის 2017 წლის 29 მარტის განცხადების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.აკადემიური საბჭოს არჩევნები დაინიშნოს 2017 წლის 30 მაისს.

2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ორ ვაკანტურ თანამდებობაზე, აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მწვრთნელთა ფაკულტეტიდან პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი.

3.აკადემიურ საბჭოს წევრობის მსურველ პირთა განცხადებების მიღება იწარმოებს 2017 წლის 1 მაისიდან 2017 წლის 15 მაისის ჩათვლით (10:00 -18:00სთ) სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიაში. მისამართი ი. ჭავჭავაძის გამზ. N49, პირველი სართული, ოთახი 116. განცხადებასთან ერთად სავალდებულოა დაინტერესებულმა პირმა წარმოადგინოს დანართი1 ში განზაზღვრული დოკუმენტაცია.

4. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მუდმივ მოქმედ საარჩევნო კომისიას დაევალოს აღნიშნული არჩევნების მომზადება - ჩატარება

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელოწერის თანავე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რექტორი, პროფესორი ჯემალ ძაგანია

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040
www.sportuni.ge

აკადემიური საბჭოს
წევრობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს: განცხადება
(საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე).

განცხადებაში მითითებული უნდა იყოს აკადემიური საბჭოს წევრის დაკავების მსურველი პირის ვინაობა, საცხოვრებელი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი.

1. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:
   ა) პირადობის მოწმობის ასლი;
   ბ) ავტობიოგრაფია (CV);
   გ) ორი ფოტოსურათი (3X4);
   დ) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;
   ე)ცნობა სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ